ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

5 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 168 (10 837) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სასიხარულო ცნობა — ხალხს უყვარდა ახსოვს

# დავიბრუნებთ სასტუმრო „სპორტს"

**საჯაროობის** პირობებში არაფერი იმალება. ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ ხშირად ჭორ-მართალი ისე აირევა ერთმანეთში, რომ, თუ პირველწყაროდან არ მიიღე ინფორმაცია, შეიძლება გაუგებრობის აბლაბუდაში გაეხვე. ნათქვამია: დაფიქრდი რას ამბობ, მაგრამ ორჯერ დაფიქრდი როცა წერო...

ამ დღეებში რედაქციაში გვირეკავენ, გვახსენებენ, რომ ამ 15-20 წლის წინათ თბილისში გვქონდა სასტუმრო „სპორტი", მერე ის საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციას გადასცეს და საკუთარი სასტუმროს პატრონები, სხვის ხელებში შემყურე დავრჩით.

„დააყენეთ საკითხი, რომ სასტუმრო დაგვიბრუნონ! ის ორგანიზაცია, რომელმაც სასტუმრო „სპორტი" თავის დროზე განუკითხაობით ხელში ჩაიგდო, ახლა სხვაგან გადადის, ნუთუ საქართველოს სპორტსახკომი არ დაიბრუნებს ნაგებობას?!". და ა. შ. და ა. შ.

ტელეფონით დავუკავშირდით საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. ლომაძეს.

**ვ. ლომაძე:** სასტუმრო „სპორტი" 1977 წლამდე ემსახურებოდა როგორც ჩვენს ნაკრებ გუნდებს, ისე ჩამოსულ სპორტსმენებს. იმ წელს მთავრობის გადაწყვეტილებით სასტუმრო გადაეცა ავტომატიკისა და ჰიდრავლიკის საკავშირო ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალს არენდით. ამ ფილიალისთვის ახალი ნაგებობის მშენებლობა დამთავრებამდე. ახლა მშენებლობა დასრულების ფაზაშია. ჩვენ, ცხადია, მუდამ გვახსოვდა და გვახსოვს ყოფილი „სასტუმრო". ახალი სასტუმროს აგება, მოგეხსენებათ, დიდ ხარჯებს მოითხოვს და უფლება არ გვქონდა, ქართული სპორტის ესოდენ საჭირო სახსრები ახალი სასტუმროს ასაგებად დაგვებანდებინა. ჩვენც მოუთმენლად ველოდებით ყოფილი სასტუმროს გამოთავისუფლებას. ახლა ეს დროც დადგა. ერთი კია, სამუშაოების დროზე დამთავრება საშური საქმეა. ამას მოითხოვს ქართული სპორტის ინტერესები. სასტუმრო „სპორტი" მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება.

VIII

თვის მონაპოვარი

# თვე-სასწაული!

**აგვისტოში** სპორტის მოყვარულთა ყურადღება ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთისკენ, ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლისკენ იყო მიპყრობილი. კეთილი ნების რიგით მეორე თამაშებზე საქართველოდან ათი სპორტსმენი გაემგზავრა. მართალია, თავისუფალი სტილის მოჭიდავე დავით გობეჯიშვილმა „აგვისტოს ზღვარზე" მოიპოვა კეთილი ნების თამაშების ჩემპიონობა, მაგრამ უსამართლობა იქნება, ერთხელ კიდევ არ მოვიხსენიოთ მისი ლამაზი გამარჯვება თავის ტრადიციულ მეტოქესთან — ამერიკელ გოლიათ ბრიუს ბაუმგარტნერთან.

სამი ქართველი ძიუდოისტი ასპარეზობდა აშშ-ში და სამივე მედლებით დაგვიბრუნდა: ამირან ტოტიკაშვილმა თავისი შემტევი ჭიდაობით უველა მოხიბლა, მეტოქენი დიდი უპირატესობით დაამარცხა და „ოქრო" დაიმსახურა. კობა კურტანიძე და ვლადიმერ დგებუაძე მხოლოდ მესამენი იყვნენ, მაგრამ ისეთი დიდი კონკურენციის პირობებში, როგორშიც ისინი მოხვდნენ, ესეც წარმატებაა.

მოჭიდავეებს კარგად აუბა მხარი ვახტანგ იაგორაშვილმა — ჩვენმა საუკეთესო ხუთჭიდელმა — მან ვერცხლის მედალი მოიგო. დანარჩენი ჩვენი სპორტსმენები უმედლოდ დარჩნენ. თუმცა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა კეთილი ნების თამაშების დებიუტანტი გახლდათ, ხვიჩა უაველაშვილისა და ნუგზარ ფოფხაძის მერვე გუნდური ადგილი კი სპორტის ისეთ „წმინდა ამერიკულ" სახეობაში, როგორიც კეტბურთია, ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას.

ერთდროულად ორი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა ველოსპრინტერმა ვლადიმერ ადამაშვილმა, და ეს შეძლო ერთი რბოლით — გიტში ასპარეზობისას. 200-მეტრიანი დისტანცია მან 10,099 წამში დაფარა. ეს შედეგი საუკეთესოა როგორც ღია, ისე დახურულ ტრეკზე, მანამდე ნაჩვენები უველა შედეგიდან.

მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მსოფლიოს რჩეულმა ჩუბინებმა მოიყარეს თავი. პირად პირველობაში გამოსვლის შემდეგ ნინო სალუქვაძე უმედლოდ დარჩა (IV ადგილი), მაგრამ თანაგუნდელებთან ერთად პნევმატური და მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობისას პირველი ადგილი მოიპოვა. ასევე, გუნდური პირველი და მეორე ადგილები ურგო. მაია გუბიევას, ბრინჯაოს (პირადი) და ვერცხლის (გუნდური) მედლები მოიგო მეხტენდურემ თამაზ იმნაიშვილმა.

ბატუტზე ხტომის ქართველი გულშემატკივრები ადრე მხოლოდ რუსუდან ხოფერიას წარმატებებით თუ ხარობდნენ. საბედნიეროდ, სპორტის ამ სახეობაში იმრავლა გამარჯვებებმა, ხოლო მორიგი სასიხარულო ცნობა სტოკჰოლმის ევროპის ჩემპიონატიდან მივიღეთ: ზაზა აბრამიშვილმა „ოქრო" მოიგო როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა თანრიგში. მას „მიჰბაძა" ანა დოლონაძემაც, რომელმაც ჯერ ერთეულთა შეჯიბრებაში ისახელა თავი, შემდეგ კი სინქრონულ ხტომებში ლია ბენდიანიშვილთან ერთად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. დიახ, ლიაც ჩემპიონია.

სტამბულში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაზე ზაზა ზოზიროვმა დაუმარცხებლად დაიკავა პირველი ადგილი. სოხუმელი ელდარ კურტანიძეც ახლოს იყო ჩემპიონობასთან, მაგრამ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და III ადგილზე გავიდა.

აგვისტოში ჩვენმა სპორტსმენებმა მრავალ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს და უმრავლესო-

იხ. მე-4 გვ.

## პრეტენდენტთა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობას შეუდგა

**ქალთა** შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი კარს მოგვადგა. ეს ასპარეზობა 10 ოქტომბრიდან დაიწყება ბორჯომში. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის პირველი სხდომა გუშინ გაიმართა. ორგკომიტეტს ხელმძღვანელობს და პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის თავმჯდომარე, ჭადრაკში რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე პ. ჩხეიძე. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტსახკომის, სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების, სამინისტროებისა და ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, ჟურნალისტები. განიხილეს ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული გადაუდებელი საკითხები. მოსამზადებელი სამუშაოები დღეიდანვე დაიწყება.

სხდომის შედეგები შეაჯამა პ. ჩხეიძემ.



**50-იანი** წლების დასაწყისში საკავშირო ველოსპორტის სარბიელზე ამობრწყინდა ოთარ დადუნაშვილის „ვარსკვლავი", სპრინტერისა, რომელმაც სულ მოკლე დროში დაიპყრო უმაღლესი სპორტული მწვერვალები, გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და როგორც ქვეყნის ნაკრების წევრმა, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებშიც მიიღო მონაწილეობა. ოთარ დადუნაშვილის მოსვლა დიდ სპორტში იმითაც იყო ნიშანდობლივი, რომ მან, ფაქტობრივად, შეცვალა, ასე ვთქვათ, ლიდერობა ჩამოართვა მანამდე აღიარებულ და დაუმარცხებელ სპრინტერს იგორ იპოლიტოვს.

ფოტო „ლელოს" არქივიდან.

## საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ:

**ტყვიის სროლაში** — თენგიზ ხერხეულიძეს (თბილისი, „შევარდენი"), გიორგი ბექთაშევს (თბილისი, შეიარაღებული ძალები).

**მხატვრულ ტანვარჯიშში** — ლალი დოლიძეს (თბილისი, „შევარდენი").

**საერთაშორისო და რუსულ შაშში** — სერგო თომაშვილს (თბილისი, „შევარდენი").

**სამხედრო-გამოყენებით მრავალჭიდში** — ვალერი ერანოსიანს (თბილისი, „დინამო").

**სამხედრო-სპორტულ მრავალჭიდში** — ივანე ანტონჩენკოს (თბილისი, „დინამო").

**კრივში** — ალიხან ხატოევს (თბილისი, „შევარდენი").

# ტურნირი საქმო კი იყო, მაგრამ...

**ყოველი** თვითმხილველი დაგვეთანხმება, რომ ესოდენ შინაარსიანი და მრავალფეროვანი „შვიდკაცა" ჩვენში ჯერ არ გამართულა. მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა, დაძაბული სატურნირო ბრძოლა, სენსაციები, დამატებითი დროები... ეგაა სამწუხარო, რომ მოედნიდან მოთამაშის გაძევებისა და მუშტი-კრივის მოწმენიც გავხდით.



და მაინც, ტურნირი უფრო იმით არის ღირსსახსოვარი, რომ პირველად მის ისტორიაში, შეჯიბრებაში ქუთაისის „აიაც" ჩაება და თამაშ-თამაშ გაუსწორდა ყველა მეტოქეს. ქუთათურთა შვიდეულმა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ პირველად თამაშობდა შვიდკაცას, ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარა თბილისის გუნდებს, რომლებსაც ბარე სამ-ოთხ შეჯიბრებაში უასპარეზიათ. აიელებმა ითამაშეს გაშლილად, სწრაფად, ხელით და მასპინძლებს ცხადად დაუმტკიცეს, თუ რამდენად მცდარი და არაფრისმომტანი ყოფილა რაგბის, მით უფრო კი — შვიდკაცას თამაშის ისეთი სტილი — ერთთავად ძალისმიერ თამაშს, უფრო კი მეტოქის გაქელვას, პირისაგან მიწისა მის ალგვას რომ ისახავს უმთავრეს მიზნად. ერთი სიტყვით „აია" ვაკეს „მოვიდა, ნახა, გაიმარჯვა" და ქუთაისს გაიყოლა თბილისობისეშბლემიანი სპილენძის ლანგარი, აქამდე შვიდკაცაში დედაქალაქელთა სიძლიერის ნიშნად რომ მიიჩნეოდა.

დაუფარავად უნდა ითქვას: გამარჯვებულები მთელი თავით ალემატებოდნენ ტურნირის ყველა სხვა მონაწილეს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ სხვებს ცუდად ეთამაშოთ, ან შეჯიბრება უინტერესო ყოფილიყო. პირიქით. თუ პირველ დღეს მოულოდნელი ბევრი არაფერი მომხდარა, კვირას ასპარეზობა დიდი სენსაციით დაიწყო: თავის ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გასულმა ჭიათურის „იმერეთმა", ეტყობა, გაითვალისწინა „სათაფლიისა" და „აკადემიის" წინა დღის მაგალითი, როცა ეს გუნდები „ელმავალს" მაგრად დაუდგნენ, და გასაქანი არ მისცა რკინიგზელებს: ჯერ გაუთანაბრა ანგარიში, შემდეგ მეტოქე შეცდომაზე დაიჭირა და დაწინაურდა, ბოლოს კი მარჯანიშვილის სოლო-გარღვევა მოიგერია და ლანგრის ორგზის მფლობელი „ელმავალი" პირველობისათვის ბრძოლას გამოაკლო.

ამასობაში „აიამ", „შევარდენმა" და „უნივერსიტეტმა" სამ-სამი გამარჯვებით ასევე გაიკაფეს გზა ნახევარფინალისაკენ, სადაც ტურნირის მშვენება გამოდგა „შევარდენ" — „იმერეთის" შეხვედრა. ფიცხელი თამაშის ძირითადი დრო — 14 წუთი — ფრედ დამთავრდა, დამატებითი დროის მე-10 (!) წუთზე კი შევარდენელმა კვარაცხელიამ უეცრად შეაგდო არეკნი და, ქუთათურებისა არ იყოს, ბოლო დრომდე შვიდკაცას არდამფასებელი თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა. ერთი სიტყვით, წლევანდელი შეჯიბრების ფინალში „შვიდკაცას" ორი ახალბედა შეხვდა ერთმანეთს.

მაგრამ ფინალამდე იყო სხვა თამაშებიც, რომელთაგან აღსანიშნავია მესამე ადგილისათვის ბრძოლაში „იმერეთის" „უნივერსიტეტთან" გამარჯვება. ქვეჯგუფში ერთობ მარდმა და კარგად ნავარჯიშებმა სტუდენტებმა მოუგეს ჭიათურელებს და ახლაც წინ იყვნენ, მაგრამ თამაშის ბოლო წუთზე „იმერეთმა" ლელოთი გაათანაბრა ანგარიში, მათმა დამრტყმელმა ბ. ბურჯანაძემ კი ლელო ძნელი მდგომარეობიდან გარდასახა და „იმერეთმაც" რევანში აიღო;

ფინალის წინ ყველას აინტერესებდა, თუ რას დაუპირისპირებდა „შევარდენი" და, კერძოდ, მისი ლიდერი ნიკა იურინი „აიას", რომლის შეკავებაც მანამდე, თანაც

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამამად მოქმედების დროც დადგა

„ლელოს" 5 აგვისტოს ნომერში მოგითხრეთ ჩვენთვის საკმაოდ უჩვეულო ამბავზე: ოლიმპიური რეზერვების რესპუბლიკური სასწავლებელი (ყოფილი გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი) გადაეცა ორგანიზაციას, რომელსაც მანამდე სპორტთან და სახალხო განათლების სამინისტროსთან არაფერი აკავშირებდა. სასწავლებლის ყოფილი მეურვის — სპორტსახკომის ხელმძღვანელებმა — ეს ძნელი ნაბიჯი, ცხადია, მას შემდეგ გადადგეს, როცა მათ თვალნათლივ წარმოუდგინეს იმ მიზნებისვარგისობა და საფუძვლიანობა, რომელიც ახალ პროტეჟეს ჰქონდა სასწავლებელთან დაკავშირებით. წერილში („მწვანე შუქი" — სპორტულ კოლეჯს") ჩვენ ნაწილობრივ ვილაპარაკეთ ამ მიზნების შესახებ. ახლა კი, მეტი სიცხადისათვის გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს საქართველოს რესპუბლიკურ საწარმოთა ასოციაცია „კომპლექსის" პრეზიდენტთან ალეკო კუჭაშვილთან, 38 წლის ახალგაზრდა კაცთან, რომელმაც თავის თანამშრომლებთან ერთად თავს იდო სასწავლებლის მომავალზე ზრუნვა...

✦ ვინც სიახლეს გაურბის, ის მუდამ აგვიანებს

✦ ქართული სპორტის წინსვლისა და ტრადიციების შემდგომი გაღრმავების გზები ახალ ვითარებაში ბიზნესთან მჭიდრო კავშირში უნდა ვეძებოთ.

✦ „ჩვენ ფულს დავაბანდებთ, მოგებას კი გვიან ველით, მაგრამ ახლავე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ქართული სპორტი ამთავითვე მოგებული დარჩება" — ამბობს ფირმა „კომპლექსის" პრეზიდენტი ალეკო კუჭაშვილი.

**● დასაწყისი ურიგო არ უნდა იყოს, ხელშეკრულება უკვე გაფორმდა..**

— ახლა ადვილია ამაზე ლაპარაკი, თორემ მანამდე სამთვიანი, ნამდვილი ბრძოლა გადაგვხდა. რასაკვირველია, ჩვენი არგუმენტები საგულდაგულო განხილვას მოითხოვდა, მაგრამ მთავარი შემაფერხებელი გარემოება ეს კი არ იყო, არამედ ძველი, ბიუროკრატიული აზროვნების ინერცია, რომელიც ყოველ ძველ ორგანიზაციას, და მათ შორის სპორტსახკომსაც, ახასიათებს. ოღონდ, თავისას ნუ დავუკარგავთ — იმ სამი თვის ბოლოს ისინი, სპორტსახკომის ხელმძღვანელები, ჩვენკენ შემობრუნდნენ და ახლა, გულწრფელად გეუბნებით, ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ. თან სპორტსახკომის თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ენდელაძეს, დღევანდელი, აქტუალური საკითხების ალქმის ალღო აღმოაჩნდა და ამან დიდი როლი ითამაშა სასწავლებლის ბედის გადაწყვეტაში.

არც ის მინდა იფიქროთ, რომ ჩვენ მათ დასაწყისში იდეალური გეგმები შევთავაზეთ. ამ მძაფრ კამათში თანდათან დაიხვეწა ორივე მხარის პოზიცია და საბოლოოდ, ერთ, ჩვენი აზრით, სალ გადაწყვეტილებაზე შევჩერდით: ჩამოვაყალიბეთ ერთობლივი საწარმოო-სააქციო გაერთიანება „სპორტკომპლექსი". მასში ჯერჯერობით ორი წევრია — ჩვენ და სპორტსახკომი.

**● ცხადია, რომ ჩვენი სპორტი რაც უფრო გადაიხრება დამოუკიდებლობისაკენ, მით უფრო გაუჭირდება მას ეკონომიკურად. მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ უნდა გვქონდეს. ძველი, ჩვეული „საკენკი", ეს ალბათ ყველამ დაინახა, მოწამლული იყო. ახალი მატერიალური წყაროების ძიება ქართული სპორტის საკეთილდღეოდ — უმწვავესი ამოცანაა დღეს. ამიტომ ყოველი ახალი ნაკადი მასში, თუნდაც თქვენი ორგანიზაციის შეძლება და მიზანი ავილოთ, საჭირო შენამატი უნდა იყოს. ოღონდ, კონკრეტულ შემთხვევაში, საკითხავი ისაა, რა გავლენას მოახდენს იგი მთელი ჩვენი სპორტის განვითარებაზე.**

— იმისათვის, რომ მომავალში სპორტი, მისი ყველა სახეობა, თანაბრად განვითარდეს, რა თქმა უნდა, ერთი სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბება არ იკმარებს. ოღონდ აქ ისიც მინდა გითხრათ, რომ გაცილებით მეტ საქმეს გავაკეთებდით, ჩვენთვის მეტი სპორტული ბაზა რომ გადმოეცათ. ძალიან გვსურს გავხდეთ ქართული სპორტის დიდი, მნიშვნელოვანი სპონსორი, და ამისათვის ძალასა და სახსრებს არ დავიშურებთ. მაგრამ თვითონ ჩვენც გვჭირდება ხელის შეწყობა, კერძოდ, გვჭირდება მეტი სპორტული ბაზა, მეტი ფართობი, რომელსაც მომგებიანად გამოვიყენებთ, როგორც სპორტის, ასევე კომერციის სასარგებლოდ. დიახ, „სპორტკომპლექსმა" ორი ინტერესი უნდა გაითვალისწინოს: ერთი — სპორტსახკომის ხაზით — სპორტის განვითარება, მეორე კი, კიდევ ვიმეორებ, კომერციული საკითხია, ურომლისოდაც ვერც ერთი საქმე ვერ გადაწყდება. „შიშველი სპორტი" ვერ იარსებებს. დღევანდელ ჩვენს სპორტს სუსტი ფინანსური საფუძველი აქვს და, რამდენადაც ვიცი, მისი სალარო კიდევ უფრო ღარიბდება. ამიტომ დიდი ძალისხმევაა საჭირო სპორტის ეკონომიკური გაძლიერებისათვის. ჩვენ, „სპორტკომპლექსის" აქციონერებმა, ამისთვის არაფერი უნდა დავიშუროთ. „კომპლექსმა" — თავისი ფინანსური შეძლება და ენერგია, სპორტსახკომმა — ყველა ის საშუალება (ძირითადად კი ბაზები), რითაც მას შეუძლია დაგვეხმაროს.

**● გლდანის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელიც, როგორც ვიცი, თავისებური სპორტულ-კომერციული ორგანიზაცია იქნება.**

— ჩვენ გვსურს, რომ სპორტსმენთა მომავალი თაობა პროფესიულ ნიადაგზე აღიზარდოს. ამას მოემსახურება კოლეჯი, რომელიც ყოფილ სასწავლებელში გაიხსნება. იქ შესაბამისად შეიცვლება სასწავლო-საწვრთნო პროცესი და მეთოდიკა ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით. ერთდროულად მოვამზადებთ სპორტსმენებსა და სპორტის სპეციალისტებს, რომლებიც შემდეგ ჩვენვე და, ცხადია, ქართულ სპორტს გამოადგებიან. ხოლო სპორტის საარსებოდ საჭირო ბიზნესისა და კომერციისათვის მრავალი ასპექტია გათვალისწინებული: სპორტული ტანისამოსისა და აღჭურვილობის საწარმოთა გახსნა, ბაზების კეთილმოწყობა და შემდეგ — გაქირავება და სხვა. საწარმოები მრავალპროფილიანი იქნება, ოღონდ ჯერ ზუსტად არ ვიცით, საამისოდ რა ბაზები გვექნება ხელთ.

**● წელან ბაზების სიმცირე ახსენეთ. ამის თაობაზე კონკრეტულად თუ გქონდათ მოლაპარაკება სპორტსახკომთან?**

— ჯერ მხოლოდ ზოგადი საუბარი გვქონდა. მაგრამ რამდენიმე დღეში კონკრეტული თხოვნით, წერილობით, მივმართავთ სპორტსახკომის ხელმძღვანელებს, თუ რა დასჭირდება „სპორტკომპლექსს" ნაყოფიერი საქმიანობისათვის. ისიც ვიცით, მათ სხვადასხვა ობიექტების ასაშენებლად გამოყოფილი აქვთ ფართობი, რომელსაც უსახსრობის გამო ვერ იყენებენ და წლობით უქმად ცდება. თუ მას ჩვენ გადმოგვცემენ, საქმე აღარ გაჩერდება, ხოლო სპორტსახკომს, თავის წილად, მოგების მნიშვნელოვან ნაწილს მივცემთ. ამასთან, უსახსრობის გამო რამდენი სპორტული ბაზაა კეთილმოუწყობელი, რომელთაც სათანადოდ ვერც იყენებენ...

გარდა ამისა, სავალუტო შემოსავლის მიღების მიზნით, გადაწყვეტილი გვაქვს სპორტული დელეგაციების გაცვლა უცხოეთთან, სპეციალისტთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ერთობლივი საწარმოების შექმნა...

**● მაპატიეთ, მაგრამ ახეთი ერთობლივი საწარმოების დიდი უმრავლესობა ჯერჯერობით უხეირო მონადირეს ჰგავს: „სროლის" ხმაური ისმის, „ნანადირევი" კი ჩვენს ეკონომიკაში არა ჩანს. რას ეფუძნება თქვენი გეგმები?**

— სპორტული და კომერციული საქმიანობა, პროცესები, ურთიერთშექცევადი უნდა იყოს. ჩვენი მთავარი დასაყრდენი იქნება ქართული სპორტის ავტორიტეტი, რომელიც მას აქვს და რომელსაც, სამწუხაროდ, ამ სახით (მისი სადაურობა მაქვს მხედველობაში) უცხოეთში ძალზე ნაკლებად იცნობენ. ეს შეცდომა უნდა გამოვასწოროთ, გავუწიოთ მას რეკლამა საზღვარგარეთ და ხალხი, საქმიანი წრეები, დავაინტერესოთ. ეს იქნება საიმედო გარანტია ჩვენი შემდგომი მუშაობისა ამ სფეროში. როგორ ფიქრობთ, ცუდი გარანტიაა?

**● სპორტში ერთობლივი საწარმოს შექმნის ერთადერთი პრეცენდენტი ჩვენში, თუ არ ვცდები, ცნობილი „ადიდასის" საწარმოა, რომელსაც რომან რურუა უდგას სათავეში. რას იტყვით მასზე?**

— ბევრს ვერაფერს. ყოველ ფირმას, თუნდაც იგი ახალგახსნილი იყოს, თავისი საიდუმლოება გააჩნია, რაც სხვა ფირმისათვის არ უნდა იყოს ცნობილი. ჩვენც არ ვიცნობთ ბოლომდე „ადიდასის" თბილისის საწარმოს საქმიანობის ყოველ სფეროს და არც ვაპირებთ ჩავწვდეთ მას. მაგრამ მივესალმებით ნებისმიერ წამოწყებას, რომელიც თავის სიტყვას იტყვის ქართული ბიზნესის განვითარებაში. იგი მომავალში დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკას გამოადგება.

**● რამდენადაც ვიცი, ასოციაცია „კომპლექსი" საკმაოდ მსხვილი ორგანიზაციაა და მნიშვნელოვანი კაპიტალიც გააჩნია. თუ შეიძლება მითხარით, მისი რამდენი პროცენტი მოხმარდება გაერთიანება „სპორტკომპლექსს?"**

— დაახლოებით 60 პროცენტი. ჩვენი რწმენით, ეს სპორტის საკეთილდღეოდ გამიზნული თანხაა.

**● ბიზნესი სპორტში, ჩვენში მაინც, სარისკო საქმე უნდა იყოს. ზარალის არ გეშინიათ? მაშინ ხომ თვით „კომპლექსის" ფინანსური საფუძველი გვარიანად შეირყევა. რაც არ უნდა იყოს, მთელი კაპიტალის 60 პროცენტს აბანდებთ ახალ წამოწყებაში.**

— შეიძლება ჩვენ თავიდან ვიზარალოთ კიდეც, მაგრამ ბიზნესი ბიზნესია — არც მოგებაა გამორიცხული და არც წაგება. ერთი რამ გადაჭრით შემიძლია გითხრათ: ქართული სპორტი აუცილებლად მოიგებს, თუნდაც იმიტომ, რომ ის ჩვენს მიერ წაგებული თანხა მას მოხმარდება. მოკლედ, მორალური კმაყოფილება მაინც გარანტირებული გვაქვს (ეს ფრაზა ჩემმა თანამოსაუბრემ ღიმილით წარმოთქვა — გ. ჩ.), საერთოდ კი, ქართველ ხალხს ახლა უკან დასახევი გზა აღარ დაგვრჩა, ამიტომ ნებისმიერი ჩვენი ასეთი მცდელობა, საკუთარი გზის ძიება, მომგებიანია თავისებურად.

**● საქმის კომერციულ მხარეზე არ გეკითხებით, მაგრამ სპორტს, მის წარმართვასა და განვითარებას კომპეტენტური სპეციალისტები სჭირდება. თუ გყავთ საჭირო კადრები?**

— სააქციო გაერთიანება „სპორტკომპლექსი" ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია და იგი მალე თავის სამუშაო პროგრამას გააცნობს საზოგადოებას. იქ იქნება თქვენი კითხვის პასუხიც. ისე კი ვიტყვი, რომ „სპორტკომპლექსის" გენერალურმა დირექტორმა ამირან მინაშვილმა, თბილისის „დინამოს" ყოფილმა მოთამაშემ, ირგვლივ ბევრი გამოცდილი, ვეტერანი სპორტსმენი შემოიკრიბა. ესეც ცალკე სიკეთეა: ბევრი ყოფილი სპორტსმენი სპორტში იმუშავებს და არა... კარგად იცით, სად და სად მუშაობს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი.

**● თქვენი ახალი სააქციო გაერთიანება მხოლოდ თბილისში წარმართავს მუშაობას?**

— ეს სპორტსახკომზეა დამოკიდებული. თვითონ ჩვენ ვეცდებით მთელ რესპუბლიკაში გავხსნათ ფილიალები. იმედია, სპორტსახკომი იქაც დაგვეხმარება თავისი რეგიონალური ბაზებითა და იქაური სპეციალისტებით. ჩვენ ხომ ერთი — საერთო საქმე უნდა გავაკეთოთ, თანაც, ვფიქრობთ, ეს საშვილიშვილო საქმეა. წინასწარ სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხიც გავითვალისწინეთ. ჩვენ იმის უფლება არა გვაქვს, რომ სპორტის ძველი კადრი უგულებელვყოთ. მათ შორის ბევრი საქმის მცოდნე, გამოცდილი მუშაკია, რომელთაც ამჟამად ნაყოფიერად მუშაობის არც სტიმული აქვთ და არც საშუალება. ხშირად თბილისშიც ასეა. საჭიროა მათ, ასე ვთქვათ, ხელ-ფეხი გავუხსნათ. ვიმპელებისა და სიგელების დრო წავიდა. ჩვენი გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მწვრთნელთა მატერიალური სტიმულირება, მუშაობის პირობებისა და, აქედან გამომდინარე, მწვრთნელთა საქმიანობის გაუმჯობესებაა, ჩამოვაყალიბებთ სპორტულ კლუბებსაც.

**● კონკრეტულად რას იტყვით ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესახებ. თუ გაქვთ გარკვეული კონტაქტები უცხოეთთან ამის თაობაზე?**

— ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის ორგანიზაციებთან, წლის ბოლოს, ალბათ, კონტრაქტებსაც გავაფორმებთ.

ესაუბრა **გიორგი ჩოჩიშვილი**

# ტურნირი საქმო კი იყო, მაგრამ...

(დასასრული)

მთელი ხუთი (!) წუთით, ოდენ „უნივერსიტეტმა" შეძლო. ამჯერად თბილისელთა ტაქტიკამ, ბურთის წინ დარტყმას და გაყოლას რომ ემყარებოდა, არ გაამართლა, რაკილა აიელები უფრო ჩაუქნიც გამოდგნენ და აშკარად უკეთაც ბურთაობდნენ, მეტადრე — მათი უკანა ხაზის მოთამაშეები. თამაშის დასაწყისშივე ნ. ძაგნიძემ არეკნით გაიტანა ბურთი, რასაც მალევე ტყაბლაძის ორი ლელო მოჰყვა და ყველაფერი ცხადი შეიქნა.

და მაინც, „შევარდენმა" ბოლომდე იბრძოლა, პრესტიჟის ლელოც გაიტანა, მაგრამ მერე მოხდა ის, რამაც შეჯიბრება ვერ დაამშვენა— ფინალის ბოლო წუთზე მუშტიკრივი ატყდა.

მტყუან-მართალი, რა თქმა უნდა, გაირჩევა. ამ ინციდენტს, ცხადია, საქართველოს რაგბის კავშირის სანქციებიც მოჰყვება. ჩვენ კი, ჯერჯერობით, ამას ვიტყვით: „შვიდკაცა" ქართული რაგბის საქმოს ასპარეზად გვეგულვის. არათუ ჩხუბმა, მცირე გაუგებრობამაც კი, ყველას — სპორტსმენებს, მწვრთნელებს, გულშემატკივრებს— უნდა გვატკინოს გული. ისე როგორც საქართველოს ჩემპიონატს, ამ შეჯიბრებასაც სუფთა გულით თამაში ეგების, ჭაბუკებსაც და გამოცდილ მორაგბეებსაც ერთნაირად მართებთ ნაღდი ვაჟკაცობა, მოთმენა და მიტევება. ეს თუ არ შევიგნეთ, ურწმუნოთა და მოქილიკეთა სასაცილოდ ასაგდები გავხდებით.

**ტექნიკური შედეგები**

**თბილისი. ვაკის სტადიონი. მეხამე „შვიდკაცა".**

**მსაჯები: მიხეილ გარუჩავა (იმსაჯა 10 შეხვედრა), გოჩა აბაშიძე (9), გურამ მოდებაძე (8), არჩილ ლაგოშვილი (8), ნუგზარ გაბრიჩიძე (8).**

**1 სექტემბერი**

**„ა" ქვეჯგუფი. „ელმავალი" (თბილისი) — „ხათაფლია" (წყალტუბო) 22:10 (12:6), „ელმავალი"— „აკადემია" (თბილისი) 10:0 (0:0), „აკადემია" — „ხათაფლია" 7:4 (0:0),**

**„ბ" ქვეჯგუფი. „უნივერსიტეტი" (თბილისი) — ონი 32:0, „იმერეთი" (ჭიათურა) — ონი 30:0, „უნივერსიტეტი" — „იმერეთი" 12:0 (6:0).**

**„გ" ქვეჯგუფი. „აია" (ქუთაისი)— „ივერია" II (თბილისი) 38:0, „აია" — „ივერია" I (თბილისი) 28:0, „ივერია" I — „ივერია" II 34:0.**

**„დ" ქვეჯგუფი. „შევარდენი" (თბილისი) — „გელათი" (ქუთაისი) 14:0 (14:0), სტუ (თბილისი) — „გელათი" 18:0 (6:0), „შევარდენი" — სტუ 8:6 (4:6).**

**2 სექტემბერი**

**პირველი წრე (მეოთხედფინალი). „იმერეთი" — „ელმავალი" 12:6 (6:6), „შევარდენი" — „ივერია" I 14:4 (10:4), „უნივერსიტეტი" — „აკადემია" 10:6 (დამატებით დროში; 6:6, 6:0), „აია" — სტუ 24:6 (24:0).**

**მეორე წრე (ნახევარფინალი). „ხათაფლია" — ონი 24:0, „გელათი" — „ივერია" II 40:0; „ელმავალი" — „ივერია" I 20:6 (10:0), სტუ — „აკადემია" 18:6 (4:6), „შევარდენი" — „იმერეთი" 9:6 (დამატებით დროში; 6:6, 6:0), „აია"— „უნივერსიტეტი" 26:6 (22:0).**

**მესამე წრე (ფინალი). „ივერია" II — ონი 14:0 (10:0); „გელათი"— „ხათაფლია" 18:0 (12:0); „აკადემია" — „ივერია" I 20:6 (14:0); „ელმავალი" — სტუ 34:6 (16:0).**

**შეხვედრა მესამე ადგილისათვის. „იმერეთი" — „უნივერსიტეტი" 12:10 (6:6). ბურთები: „იმერეთი" — 2 ლელო (წინილაშვილი, გოირგაძე), 2 გარდასახვა (ბ. ბურჯანაძე); „უნივერსიტეტი" — 2 ლელო (ტოგონიძე, შენგელაია), გარდასახვა (ჭუმბურიძე).**

**შეხვედრა პირველობისათვის. „აია" — „შევარდენი" 27:6 (15:0).**

**„აია": რეხვიაშვილი, ზ. ლიპარტელიანი, ნემსიწვერიძე; კიკაჩეიშვილი, ნ. ძაგნიძე, ტყაბლაძე, ე. ძაგნიძე (გაბრიჩიძე).**

**„შევარდენი": ჩიქავა, მეჭურჭლიშვილი, ხორდია (კალაძე); ჩაჩანიძე, ნ. იურინი, ბ. იურინი (კვარაცხელია), დვალი (ცირეკიძე).**

**ბურთები: „აია" — 4 ლელო (ტყაბლაძე — 2, ე. ძაგნიძე, ნ. ძაგნიძე), 4 გარდასახვა (ნ. ძაგნიძე), არეკნი (ნ. ძაგნიძე); „შევარდენი" — „ლელო" (ჩაჩანიძე), გარდასახვა (ნ. იურინი).**

**საბოლოო კლასიფიკაცია: 1. „აია", 2. „შევარდენი", 3. „იმერეთი", 4. „უნივერსიტეტი", 5. „ელმავალი", 6. სტუ, 7. „აკადემია", 8. „ივერია" I, 9. „გელათი", 10. „ხათაფლია", 11. „ივერია" II, 12. ონი.**



ტურნირის ჩემპიონი — „აიას" შვიდეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 3:1. მსაჯი: ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი). გოლები: შ. ტაბატაძე-3 („ქართლი“), ზ. ბერძენიძე („ჩიხურა“).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „იმერეთი“ (ხონი) 1:0. მსაჯი: ო. გუნთაძე (თბილისი). გოლი: ჰ. იობიძე („საპოვნელა“).

მსაჯთან შეკამათებისათვის გააფრთხილეს მ. სილაგაძე („საპოვნელა“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:0. მსაჯი შ. ბერიძე (თბილისი). გოლები: ე. სანაძირაძე-2 („დურუჯი“).

„სიონი“ (ბოლნისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 4:0. მსაჯი. გ. შავგულიძე (რუსთავი). გოლები: მ. ქვარცხავა, ი. ჯაგოვი-3 („სიონი“).

ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 5:4. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია). გოლები: ვ. გეგეშიძე, ბ. ამაშუკელი-2, პ. მეტრეველი, მ. ქურცაძე (ფიზკ. ინსტ.), გ. ვერულაშვილი, გ. ბრეგვაძე, დ. პაიკიძე, ჯ. ვერულაშვილი („სულორი“).

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი). გოლები: კ. ჰუმბურიძე, ა. წიქარიშვილი („ალაზანი“), ა. გორგილაძე „სულორი“).

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „სიხარული-90“ (გაგრა) 4:0. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: კ. ბრეგვაძე, მ. აკოფიანი, ნ. კიკნაძე, მ. წითელაშვილი („მარგვეთი“).

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს ნ. კიკნაძე („მარგვეთი“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 5:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (დუშეთი). გოლები: ტ. კანდელაკი, მ. ხუცურაული, ტ. ბაქრაძე, ზ. სოლოღაშვილი, ზ. მელაძე („არმაზი“), ჭიათურელმა ა. სევასტოპულომ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი.

მსაჯთან კამათისათვის გაფრთხილებულია დ. იობაშვილი („მაღაროელი“).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „კახეთი“ (თელავი) 3:1. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი). გოლები: გ. ჩიბაშვილი, გ. გეგეშიძე, ა. კიურჯიევი (სტუ), ს. ქელეხიძე („კახეთი“).

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებულია ლ. ხორხელი („კახეთი“). უხეში თამაშისათვის ასევე გაფრთხილებულნი არიან გ. ჩიბაშვილი და გ. გვაზავა (ორივე — სტუ).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 25 | 18 | 3 | 4 | 50-23 | 57 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 24 | 18 | 2 | 4 | 55-22 | 56 |
| „სულორი“ (ვანი) | 25 | 15 | 4 | 6 | 43-33 | 49 |
| „კახეთი“ (თელავი) | 25 | 13 | 5 | 7 | 42-26 | 44 |
| „სიხარული-90“ (გაგრა) | 25 | 12 | 4 | 9 | 42-29 | 40 |
| „სიონი“ (ბოლნისი) | 25 | 11 | 7 | 7 | 47-36 | 40 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 25 | 10 | 9 | 6 | 36-35 | 39 |
| „იმერეთი“ (ხონი) | 25 | 10 | 5 | 10 | 26-34 | 35 |
| „ქართლი“ (გორის რ-ნი) | 25 | 10 | 3 | 12 | 35-32 | 33 |
| „საპოვნელა“ (თერჯოლა) | 25 | 9 | 5 | 11 | 31-31 | 32 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 25 | 10 | 1 | 14 | 27-40 | 31 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 25 | 9 | 4 | 12 | 37-45 | 31 |
| „ხქური“ (წალენჯიხა) | 24 | 9 | 3 | 12 | 43-44 | 30 |
| „არმაზი“ (მცხეთა) | 24 | 8 | 6 | 10 | 35-42 | 30 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 24 | 6 | 10 | 8 | 33-35 | 28 |
| სტუ | 25 | 8 | 1 | 16 | 32-52 | 25 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 25 | 6 | 7 | 12 | 26-49 | 25 |
| ფიზკ. ინსტ. | 24 | 6 | 6 | 12 | 28-41 | 24 |
| „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) | 24 | 5 | 9 | 10 | 27-32 | 24 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 25 | 5 | 4 | 16 | 24-38 | 19 |

## ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი

1990 წლის დასასრულს ჩინეთში გაიმართება ფეხბურთელ ქალთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა კონტინენტებისა და რეგიონების წარმომადგენელთა რეგლამენტი, მომავალ საინტერესო შეჯიბრების ფინალისთვის: ევროპა — 5 გუნდი, აზია — 3 (ამ რიცხვში უკონკურსოდ შედის ჩინეთის გუნდი), აფრიკა, ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნები, სამხრეთ ამერიკა, ოკეანეთი — თითო.

## საერთაშორისო ტურნირი

დღეს მოსკოვში, ავტოქარხანა „მოსკვიჩის“ სტადიონზე, დაიწყება პირველი ოფიციალური საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ქალთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის პროფკავშირების ნაკრები, „სოსნოვიცე“ (პოლონეთი), „ბუდაპეშტი“ (უნგრეთი), „ციურიხი“ (შვეიცარია) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორი გუნდი — „შტუტგარტი“ და „ობერჰაუზენი“. ტურნირს ჰყავს სპონსორიც: ტურიზმის განვითარების რუსეთის კომერციული ბანკი.

## ოლეგ პროტასოვი — საბერძნეთში

საბერძნეთის ფეხბურთის მოყვარულებმა გუშინ შეხვედრა მოუწყვეს კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელს ოლეგ პროტასოვს, რომელმაც ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ათენის „ოლიმპიაკოსთან“.

„ოლიმპიაკოსი“ საბერძნეთის ყველაზე პოპულარული კლუბია. გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ ო. პროტასოვი გუნდს ხელს შეუწყობს ახალი წარმატებების მოპოვებაში.

„ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელმა ო. ბლოხინმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია დიდხანს წინააღმდეგი იყო ო. პროტასოვის საბერძნეთში გადასვლისა და ხელოვნურ წინააღმდეგობებსაც უქმნიდა მას, მაგრამ ეს საქმე, როგორც იქნა, კეთილად დამთავრდა.

## „რუსენბორგი“ ტალინში

**ტალინი.** ადგილობრივმა „სპორტმა“ თავის მინდორზე მიიღო ნორვეგიის „რუსენბორგი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ეს იყო ამხანაგური შეხვედრა, მალე კი „რუსენბორგი“ უეფა-ს თასის პირველი ტურის ოფიციალურ მატჩში ოდესის „ჩერნომორეცს“ შეხვდება.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობის მორიგი შეხვედრები უმაღლესი და I ლიგის გუნდებს შორის.

**უმაღლესი ლიგა:** „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 3:1, „არარატი“ (ერევანი) — ცსკა 4:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 5:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (მინსკი) 2:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:1.

გათამაშებას ლიდერობენ კიევის დინამოელები, რომლებსაც 17 ტურის შემდეგ 25 ქულა აქვთ. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება ცსკა, მესამე ადგილზეა „სპარტაკი“, რომელმაც 16 თამაშის შემდეგ 21 ქულა დააგროვა.

აუტსაიდერთა შორის იმყოფებიან მინსკის „დინამო“ (9 ქულა) და „როტორი“ (8).

**I ლიგა.** სოხუმის დინამოელებმა კემეროვოში ითამაშეს ადგილობრივ „კუზბასთან“, ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 2:1, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) 1:1, „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:3, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტირასი“ (ტირასპოლი) 2:0.

სადღეისოდ ლიგაში ლიდერობს ორი გუნდი — ვლადიკავკაზის „სპარტაკი“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, მათ 36-36 ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა ტაშკენტის „ფახთაქორი“ — 34 ქულა. სოხუმის დინამოელები 23 ქულით პირველ ათეულში იმყოფებიან.

შედგა I ლიგის თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი. სიმფეროპოლის „ტავრიამ“ თავის მინდორზე სტავროპოლის „დინამოსთან“ ფრედ — 2:2 დაამთავრა შეხვედრა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **ორიოდე** წლის წინ საფრანგეთის „ლილმა“ გადაწყვიტა ბელგიელ თავდამსხმელთა დუეტის (ვანდენბერგი-დესმეტი) ყიდვა. ფეხბურთელები ერთად თამაშობდნენ ნაკრებში და სავარაუდო იყო, რომ არ გაუჭირდებოდათ ახალ კლუბში ადაპტაცია. პირველ სეზონში ბელგიელებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს თავიანთი რეპუტაციის გამართლება, მერე კი ბედმა უმუხთლათ — ორივემ დაკარგა ადგილი როგორც ეროვნულ ნაკრებში, ისე კლუბში. შარშან დესმეტი მშობლიურ „კურტრეს“ დაუბრუნდა. ახლა კი მის გზას ვანდენბერგი დაადგა.

● **სულ ახლახან** ჟან-მარი პფაფს მსოფლიოს საუკეთესო მეკარეთა პირველ სამეულს აკუთვნებდნენ. თითქოს წარმოუდგენელი იყო ბელგიის ნაკრებისა და მიუნჰენის „ბაიერნის“ თამაში პფაფის გარეშე. ყველაფერი ძალზე სწრაფად შეიცვალა. „ბაიერნში“ გამოჩნდა აუმანი, ბელგიის ნაკრებში — პრიუდომი, და პფაფი მეორე პლანზე გადავიდა. შარშანდელი სეზონი მან ბელგიის „ლიერსში“ გაატარა. ახლა კი. თავისი ყოფილი კონკურენტის, დასავლეთგერმანელ ტონი შუმახერის მსგავსად, თურქეთს მიაშურა, სადაც „ტრაბზონსპორის“ ღირსებას დაიცავს.

● **იტალიაში** განცდილი ფიასკოს შემდეგ შვეციის ფეხბურთის მესვეურებმა თანამდებობიდან დაითხოვეს მთავარი მწვრთნელი ოლე ნორდინი. მის ადგილს დაიკავებს ტომი სვენსონი, რომელიც მოამზადებს გუნდს 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალისათვის. როგორც იცით, ეს შეჯიბრება შვეციაში ჩატარდება და, ამიტომ, მასპინძლები თავისუფალნი არიან შესარჩევი ტურნირისგან. ამასობაში კი, ქვეყნის რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა შეიცვალა გუნდი. თავდამსხმელი ბროლინი („ნორჩეპინგი“) იტალიის „პარმამ“ შეიძინა, მცველი შვარცი („მალმიო“) პორტუგალიის „ბენფიკაში“ შეუერთდა ტურნსა და მაგნუსონს. კიდევ ერთი მცველი — ლუნგი, რომელიც ორი წელია შვეიცარიის „იანგ ბოისში“ თამაშობდა, ახლა „ციურიხში“ გამოვა, ხოლო ნახევარმცველი ლიმპარი იტალიის „კრემონეზედან“ ინგლისის „არსენალმა“ მიიწვია.

● **ივლისში** ორი ცნობილი მწვრთნელი დაიღუპა. რომში გარდაიცვალა ბრაზილიელი ჟოაო სალდანია. 73 წლის ეს სპორტული ჟურნალისტი 1970 წელს მსოფლიო პირველობისათვის ამზადებდა ბრაზილიის ნაკრებს. სწორედ მან ჩამოაყალიბა ის ბრწყინვალე გუნდი, რომელმაც სამუდამოდ დაიტოვა „ნიკეს თასი“. ჩემპიონატზე გამგზავრების წინ იგი შეცვალა ზაგალომ. მადრიდში კი 68 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე ესპანეთის ნაკრების ყოფილმა ხელმძღვანელმა მიგელ მუნიოსმა. მის ანგარიშზეა ევროპის ჩემპიონატის „ვერცხლი“ (1984 წელს) და მსოფლიო პირველობის (1986) ფინალური ტურნირი.

● **ჰოლანდიელი** ჯონი ბოსმანი ნაკრების ხელმძღვანელებმა დაიწუნეს და მის ნაცვლად იტალიაში ვან ლუნი წაიყვანეს. გასული სეზონი ბოსმანისათვის საკმაოდ უფერულად წარიმართა. ასეთ ვითარებაში კლუბმა აღარ განაახლა კონტრაქტი ჰოლანდიელთან და იგი „ეინდჰოვენს“ დაუთმო. იქვე ითამაშებს რუმინეთის ნაკრების ნახევარმცველი გეორგე პოპესკუც.

● **მას შემდეგ,** რაც პოლონეთის ნაკრებმა დაკარგა საერთაშორისო ავტორიტეტი, იქაურ ფეხბურთელებს, უმთავრესად, უცხოეთის მეორეხარისხოვანი კლუბები ყიდულობენ. ახალ სეზონში საზღვარგარეთ მოთამაშე ფეხბურთელთა რიცხვი ასამდე გაიზრდება.

● **ინგლისის** „არსენალის“ ნახევარმცველი კევინ რიჩარდსონი სულ ახლახან ჩაირიცხა ესპანეთის „რეალ სოსიედადში“. მისი დებიუტი შედგა ტოკიოში, სადაც ესპანელები ამხანაგურ მატჩში ბრაზილიის „ფლამენგოს“ შეხვდნენ. პირველი მატჩი რიჩარდსონს ალბათ დიდხანს დაამახსოვრდება. მისი გუნდი დამარცხდა — 0:7!

● **ფეხბურთს** დაემშვიდობა ორი ცნობილი ოსტატი — „ტიროლისა“ და ავსტრიის ნაკრების ყოფილი მცველი ბრუნო პეცეი და გფრ-ის „შტუტგარტში“ მოთამაშე, ისლანდიის ნაკრების კაპიტანი ასგეირ სიგურვინსონი.

● **1984 წლის** ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავი თამაშით გამოირჩეოდა პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი ფერნანდო შალანა. შემდგომში მუდმივმა ტრავმებმა მას არ მისცა საშუალება შეენარჩუნებინა მოპოვებული პოზიცია და მშობლიურ „ბენფიკაში“ იგი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ახალ სეზონში შალანა „ბელენენსეში“ ითამაშებს.

● **არგენტინელ** ფეხბურთელთა ექსპორტი უცხოეთის კლუბებში დღეს ალარავის აკვირვებს. იტალიური სპორტული პრესის ცნობით, არგენტინა ახლა მსოფლიოს უდიდესი ექსპორტიორია. სხვადასხვა ქვეყანაში 700-ზე მეტი არგენტინელი თამაშობს. მათ რიცხვს შეუერთდა ნაკრების წევრი დიეგო სიმეონე, რომელიც „რივერ პლეიტიდან“ იტალიის „პიზაში“ გადავიდა. ახალგაზრდული ნაკრების წევრი მარიო ეჩენესი („სანტა ფე“) ავსტრიის „სენტ პოლტენმა“ იყიდა. აქ იგი შეცვლის თავის სახელოვან თანამემამულეს მარიო კემპესს.



## „მილანის“ ჯავრი ჰირთ

ამ დღეებში მიუნხენის „ბაიერნის“ დირექტორატის წარმომადგენელმა საინტერესო განცხადება გააკეთა ჟურნალისტებისთვის. მისი სიტყვით, თუ „ბაიერნი“ 1990-91 წლების სეზონში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს მოიპოვებს, გუნდის თითოეული წევრი ჯილდოდ 40 ათას დოლარს მიიღებს. მაგრამ თუ ამ თასისათვის ბრძოლაში „ბაიერნი“ „მილანს“ დაამარცხებს, ეს თანხა გაორკეცებული იქნება!

## „რომას“ საიდუმლო იარაღი

იტალიელი მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ახალ სეზონში „რომა“ საიდუმლო იარაღს გამოიყენებს. ეს არის ფართო საზოგადოებისათვის უცნობი, 18 წლის თავდამსხმელი რობერტო მუცი. დღეისათვის მუცი თვიურად მხოლოდ 1000 დოლარს იღებს, მაგრამ ეს თანხა, ცხადია, განუზომლად გაიზრდება.

## გამოუცდელობა?!

მიმომხილველები გამოუცდელობით ხსნიან იმ ფაქტს, რომ რუმინეთის ნაკრების წევრმა გეორგე პოპესკუმ ერთდროულად ორ კონტრაქტს მოაწერა ხელი: „ლეჩესა“ და „პსვ ეინდჰოვენთან“. გადაწყდა, რომ პოპესკუ ჰოლანდიაში ითამაშებს, მაგრამ 8000 დოლარი ჯარიმა უნდა გადაიხადოს.

## „მე არავის შემცვლელი არა ვარ!“

ესპანური გაზეთები წერენ იმის შესახებ, რომ გეორგე ჰაჯის სახით მადრიდის „რეალმა“ მარტინ ვასკესის კარგი შემცვლელი შეიძინა. ეს სიტყვები ძალიან არ მოსწონს თვით ჰაჯის. მე არავის შემცვლელი არა ვარ! — განაცხადა მან. ჰაჯი ძალიან დიდ იმედებს ამყარებს თავის ესპანურ კარიერაზე.

## რომელი პლატინი?!

როცა პორტუგალიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა იმის შესახებ, რომ პლატინიმ სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ლისაბონის „ბენფიკასთან“, ყველა სახტად დარჩა, თუმცა მალე ყველაფერი გაირკვა. საქმე, რა თქმა უნდა, არ ეხება საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ მიშელ პლატინის. „პლატინის“ ეძახიან ბოლივიელ ოსტატ ერვან სანჩესს, რომელზეც „ბენფიკა“ დიდ იმედებს ამყარებს.

VIII

თვის მონაგარი

# თვე-სასწაული!

(დასასრული)

ბიდან გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ.

ზაზა გოგუაძემ და ირაკლი ჭანკვეტაძემ, შესაბამისად, I და II ადგილები დაიკავეს უნგრეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობა-90"-ის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში. ამავე ტურნირში ჩვენმა „კლასიკოსებმა" სამი მედალი მოიგეს: გოჩა ციციაშვილსა და გიორგი ხალდაძეს თავიანთ წონით კატეგორიებში ტოლი არ ჰყავდათ. შალვა იმხანიშვილი კი ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

აქვე, ძიუდოისტ ქალთა ტურნირზე, კარგად იასპარეზა ნინო ქუცნიაშვილმა და ჩემპიონი გახდა. იგი პირველი ძიუდოისტი ქალია საბჭოთა კავშირიდან, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია ამ ტურნირში. მაგრამ ნინო ამით არ დაკმაყოფილებულა — მალე საკავშირო პირველობაც (სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის) მოიგო მძიმე წონაში, აი, აბსოლუტურში კი მეორე იყო.

„მეგობრობა—90"-ის პრიზიორებად მოგვევლინნენ ჩვენი მოკრივეებიც — ილია ფაროიანი (II ადგილი) და თამაზ წკრიალაშვილი (III ადგილი).

ერთი წელია, რაც საქართველოში მკლავჭიდი გაიცნეს, მიღწევებით კი ყველა გააკვირვა ჯერაც „ჩვილმა" სპორტის სახეობამ. „მოსკოვურ დათვებად" წოდებულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე ჩვენმა ბიჭებმა II გუნდური ადგილი დაიკავეს უძლიერესი ამერიკელი ათლეტების შემდეგ. ჩემპიონია გია გვიჩიანი; ჯიმი მერაბიშვილმა, ზაურ ცხადაძემ და გელა ბეწუაშვილმა „ვერცხლი" მოიპოვეს, დავით ჩიტაძემ — „ბრინჯაო". ინვალიდ მკლავჭიდელთა გუნდურ შეჯიბრებაში ჩვენი ნაკრები უძლიერესი იყო, პირად პირველობაში კი ლევან უამიაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა.

სტამბულში გამართულ კარატისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც „ბოსფორის თასად" არის ცნობილი, 7 წონით კატეგორიაში იასპარეზეს „შოტოკან კარატეს" (კარატეს ნაირსახეობაა) ქართველმა წარმომადგენლებმა. „კუმიტეს" დისციპლინაში გიორგი ბაკურაძემ და სულხან სიდამონიძემ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

ახლა საკავშირო ტურნირები გავიხსენოთ. აქაც მრავლადაა მიღწევები. უპირველესად, მოჭადრაკე ქეთევან არახამია უნდა ვახსენოთ, რომელმაც მეტად დაძაბულ ბრძოლაში დაიმსახურა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. ამით ქეთინომ ადგილი „დაიჯავშნა" ოლიმპიურ გუნდში, რომელიც ნოემბერში იუგოსლავიაში იასპარეზებს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

ბრწყინვალე შეიძლება ვუწოდოთ ფოთელი ვახილი ბუდუროვის შედეგს. იგი საკავშირო ჩემპიონატის გამარჯვებულია წყალსათხილამურო სპორტში ტრამპლინიდან ხტომაში. ბრწყინვალე იმიტომ, რომ ამ სახეობაში ჩვენს წყალთხილამურეებს ესოდენ მნიშვნელოვანი წარმატებისათვის ჯერ არ მიუღწევიათ.

მართალია, ჩვენი მოკრივეებისაგან მეტს მოველოდით, საკავშირო სპორტსახკომის პრიზის გათამაშებაში, მაგრამ რუდიკ კაზანჯიანისა („ბრინჯაო") და ჯაბა ცუხიშვილის („ვერცხლი") მიერ მოპოვებული მედლები ცოტაოდენი თვითდამშვიდების იმედს მაინც იძლევა.

კიდევ ერთი გამარჯვებით გაგვახარა ახალგაზრდა ძიუდოისტმა ზაზა გორგაძემ — იუნიორ ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატზე მან 5 შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

დიდ სპორტს მოსწავლეთა სპორტი უყრის საფუძველს, ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა. მართლაც, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის შედეგებმა (სპორტის თითქმის ყველა სახეობაში) დაგვანახვა, რომ ქართველ სპორტსმენებს ღირსეული ცვლა ეზრდებათ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: საქართველოს ნაკრებმა ბატუტზე ხტომაში დიდი უპირატესობით მოიგო სპარტაკიადის გუნდური ოქროს მედალი, პირად პირველობაში სხვადასხვა ხარისხის მედლები მოიპოვეს რევაზ ხარატიშვილმა (ორი „ოქრო"), გიორგი გაგუამ („ოქრო"), ლელა გიგინეიშვილმა („ოქრო" და „ბრინჯაო"), ირინა მიხაილოვამ („ოქრო"), რემ პოლოზიანმა, კახაბერ ქვლივიძემ, თამარ სუსუნიაშვილმა და ნინო არლანაშვილმა (ყველა —„ბრინჯაო").

გუნდური პირველი ადგილი ჩვენმა ხამბისტებმა დაისაკუთრეს. ვაჟებში ვასილ ყორბეზაშვილმა, მიხეილ აბაშიძემ, ვანო არაბულმა და ნიკო ნიკოლაძემ მოიგეს ოქროს მედლები; ბესიკ სინჯარაძე, ლევან ალფაიძე, თემურ ლატაური და გია კილასონია კი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. ჩვენმა გოგოებმაც — ინგა ქარელიძემ და ირმა მელიქიშვილმა — მესამე ადგილები დაიკავეს. ჩემპიონები არიან ქართველი „კლასიკოსებიც" — პირად ჩათვლაში დავით სირაძემ და ლევან გაბუნიამ ისახელეს თავი — უძლიერესები გახდნენ. გარდა ამისა, მოპოვებულია სამი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი.

სამბისტებსა და „კლასიკოსებს", რაღა თქმა უნდა, ძიუდოისტებმაც აუბეს მხარი. მოგეხსენებათ, ძიუდოში არანაირი გამარჯვება არ გაუკვირდება ქართველ კაცს, მათ შორის, არც სასპარტაკიადო მედლები, რომლებიც იმდენად უხვადაა, რომ იძულებულნი ვართ მხოლოდ „ოქროს" მფლობელები მოვიხსენიოთ. აი, ისინიც: ვაჟები — ალექსანდრე ლვინიაშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი, მამუკა ბოტკოველი, ლევან ჯაფარიძე, გოგონები — ენძელა სოლოღაშვილი, ნანი მირუაშვილი, გარდა ამისა, ვაჟებმა ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს, გოგონებმა — სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოსი. ამ უკანასკნელებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავეს, ვაჟებმა — პირველი.

ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს და ისე გახდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები ჩვენი წყალბურთელები. ასეთივე წარმატებით იასპარეზეს ვაჟმა კალათბურთელებმა და ფრენბურთელმა გოგონებმა. ფრენბურთელი ვაჟები მეორენი იყვნენ.

საპატიო გუნდური მეორე ადგილია მოპოვებული ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირზე, ბადმინტონისტები კი ერთი საფეხურით ქვევით „შეჩერდნენ".

საქართველოს მოსწავლე ძალოსანთა ნაკრები გუნდის წევრმა, წითელწყაროელმა ილია კოტაშვილმა ერთდროულად სამ მედალს „გამოჰკრა ხელი": აკვრაში „ვერცხლი" დაიმსახურა, ატაცში — „ბრინჯაო", ხოლო ორჭიდის ჯამში — ბრინჯაოს დიდი მედალი.

არც ველოსიპედისტები დარჩნენ უმედლოდ — ვალერი პოტაპოვმა მშვენივრად იასპარეზა ტულის ტრეკზე და უძლიერესის წოდებას დაეუფლა (გიტი 500 მეტრზე). სპრინტერებში ვალერი მეორე იყო.

ნიჩბოსნები: კობა ტაბატაძე, ზვიად თოდუა, ლევან ვაზაგაშვილი და დავით ბერიკაშვილი ოთხადგილიანი ბაიდარით მესამენი მივიდნენ ფინიშთან.

ერთ ვერცხლის და სამ ბრინჯაოს მედალს დაეუფლნენ აკრობატები, სპორტულ ტანმოვარჯიშეთა შედეგი კი უფრო შთამბეჭდავია — სოფიკო მანაგაძემ ერთ ოქროს მედალს „ბრინჯაოც" დაუმატა. გიორგი კოსტანიანი მეორე ადგილზეა, ნიკოლოზ ბარამიძე — მესამეზე, ხოლო გენადი სურმანიძე ჩემპიონი გახდა. მართალია, ილია გიორგაძის მიერ მოპოვებული მედლები (ერთი „ოქრო", ორი „ვერცხლი", ერთი „ბრინჯაო") გუნდს საერთო ჩათვლაში არ წაადგა, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ მზარდი სპორტსმენი ერთ შეჯიბრებაში ოთხ მედალს იგებს, უდავოდ სასიამოვნოა.

და, ისევ მოჭადრაკეები, რომელთა წარმატებებს, შეიძლება ითქვას, თვლა არა აქვს. ამჯერად სპარტაკიადაზე (ლენინგრადში) ჩვენი გოგონები მეორე ადგილზე გავიდნენ. გუნდის ლიდერი თეა ლანჩავა, ეტყობა, არ იყო ჩვეულ სპორტულ ფორმაში, თორემ შედეგი უკეთესი იქნებოდა.

ასეთია ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ზაფხულის უკანასკნელი თვის მონაგარი.

## გეკერი ფინალისაკენ მიიწევს

**ნიუ-იორკი.** გრძელდება აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატი. ვაჟთა ტურნირში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ანდრეი ჩერკასოვმა, რომელმაც დაამარცხა სამხრეთაფრიკელი კრისტო ვან რენსბურგი. ახლა მისი მეტოქე იქნება ამერიკელი ანდრე აგასი, რომელმაც თანამემამულე ჯეი ბერგერს აჯობა. 7:5, 6:0, 6:2.

შარშან, აშშ-ს ღია ჩემპიონატი ბორის ბეკერმა (გფრ) მოიგო. იგი წლეულსაც წარმატებით მიიწევს ფინალისაკენ, თუმცა მორიგი გამარჯვების მიღწევა ერთობ გაუჭირდა — ავსტრალიელ დარენ კაჰილს მხოლოდ ხუთ პარტიაში დაამარცხა — 2:6, 6:2, 5:3, 3:6, 6:4. აარონ კრიკშტეინმა (აშშ) ამოს მანსდორფს (ისრაელი) მოუგო 6:3, 6:4, 6:4.

ქალთა ტურნირის ყურადღების ცენტრში იყო შტეფი გრაფისა (გფრ) და 14 წლის ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატის შეხვედრა. გრაფის უპირატესობა ამჯერად უდავო იყო — 6:1, 6:2.

## მუშაობას განაგრძობს ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსები

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა ფასიანი მოსამზადებელი კურსები მუშაობას განაახლებს ა. წ. სექტემბრიდან.

წარმოებიდან მოუწყვეტლივ საღამოს საათებში მეცადინეობის განრიგია:

**1. სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი**

საერთო ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა, გამაჯანსაღებელი რბენა, სიარული, რიტმული ტანვარჯიში, სპორტული ცეკვა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზმომზადება, ათლეტიზმი, სპორტული მასაჟი.

**2. დეკემბერი, იანვარი, თებერვალი**

საერთო ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა, ცურვა, ქართული ჭიდაობა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზმომზადება, აღმოსავლური ორთაბრძოლები (ჯიუ-ჯიცუ, კარატე; უ-შუ), სპორტული მასაჟი.

**3. მარტი, აპრილი, მაისი**

საერთო ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა, ტურიზმი, მთ-ს მრავალჭიდის კომპლექსი, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მომზადება, სპორტული მასაჟი.

კურსებზე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ისინი, ვისაც აქვთ პედაგოგიური ან სამედიცინო განათლება, სპორტული თანრიგი, ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მუშაობის სტაჟი. კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელს ეძლევა სპეციალური სახელმწიფო მოწმობა, რომელიც მას მუშაობის უფლებას აძლევს: ფასიან ფიზკულტურულ, გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, სამეურნეო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ გაერთიანებებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბებში, საბავშვო ბაღებში, ჯანმრთელობის სკოლებში, კოოპერატიული და ინდივიდუალური შრომითი მოღვაწეობის სფეროში და სხვ.

სპეციალისტები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ, ანდა აქვთ სურვილი იმუშაონ ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციებში, თანახმად საკავშირო სახელმწიფო სპორტკომიტეტის ბრძანებისა, ვალდებულნი არიან მიიღონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორის მოწმობა, ხოლო სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე პირებმა უნდა აიმაღლონ კვალიფიკაცია ყოველ ხუთ წელში ერთხელ.

კურსებზე მსმენელის გადასახადის ფასი დამოკიდებულია სპეციალიზაციის მიხედვით დაკომპლექტებულ ჯგუფთა წევრების რაოდენობაზე.

**შენიშვნა:** თუ საქართველოს რეგიონების მიხედვით მსურველთა ჯგუფის დასაკომპლექტებლად მინიმალური რაოდენობა შეგროვდება, ფაკულტეტს შეუძლია ჩაატაროს მეცადინეობა ადგილზე — მაგალითად, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თელავში, რუსთავში, ცხინვალში და ა. შ.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე მისამართით: ჭავჭავაძის პროსპექტი 49ა. ტელ. — 29-32-69.

**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი.**

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



ამას წინათ მენავთობეთა ქალაქ ტიუმენში პირველად მოეწყო „გრან-პრის" პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კულტურიზმში.

**სურათზე:** ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი, ჰოლანდიელი ვილენ გრავენ ბეიკი.

### „სპორტპროგნოზი", 37-ე ტირაჟის პროგრამა (14-16 სექტემბერი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები შაიბიან ჰოკეიში** | | | | |
| 1. „დინამო" (რიგა) — „მონრეალ კანადიენსი" (კანადა) | 14.IX | 10 | 00 | 90 |
| 2. „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) — „მინესოტა ნორდ სტარზი" (აშშ) | 15.IX | 70 | 10 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 3. ცსკა —„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 14.IX | 10 | 80 | 10 |
| 4. „პამირი" (დუშანბე) — „არარატი" (ერევანი) | 15.IX | 70 | 30 | 00 |
| 5. „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 15.IX | 10 | 70 | 20 |
| 6. „დინამო" (მინსკი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 15.IX | 80 | 00 | 20 |
| 7. „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (მოსკოვი) | 15.IX | 30 | 40 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 8. „ყუბანი (კრასნოდარი) — „ფაკელი" (ვორონეჟი) | 16.IX | 70 | 30 | 00 |
| 9. „ზენიტი" (ლენინგრადი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 16.IX | 00 | 60 | 40 |
| 10. „შინიკი" (იაროსლავლი) — „კაირატი" (ალმა-ათა) | 16.IX | 80 | 10 | 10 |
| 11. „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 16.IX | 10 | 90 | 00 |
| 12. „გეოლოგი" (ტიუმენი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 16.IX | 00 | 40 | 60 |
| 13. „ტირასი" (ტირასპოლი) — „დინამო" (სტავროპოლი) | 16.IX | 30 | 60 | 10 |

### ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების თამაშებზე შედგენილი „C-9" სპეციალური ტირაჟის პროგრამა

(პირველი თამაშები. 18, 19, 20 სექტემბერი)

**ჩემპიონთა თასი, მეთექვსმეტედფინალი**

1. „სპარტა" (ჩეხოსლოვაკია)—„სპარტაკი" (მოსკოვი)
2. „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „გრასჰოპერსი" (შვეიცარია)

**თასების მფლობელთა თასი, მეთექვსმეტედფინალი**

3. „დინამო" (კიევი) — „კუოპიო პს" (ფინეთი)
4. „მონპელიე" (საფრანგეთი)—„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია)
5. „გლენტორანი" (ჩრ. ირლანდია) — „სტიაუა" (რუმინეთი)

**უეფა-ს თასი, ოცდამეთორმეტედფინალი**

6. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „როზენბორგი" (ნორვეგია)
7. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ჰართსი" (შოტლანდია)
8. „ტორპედო" (მოსკოვი) — გაის (შვეცია)
9. „სპორტინგი" (პორტუგალია) — „მეჰელენი" (ბელგია)
10. „ატალანტა" (იტალია) —„დინამო" (ზაგრები, იუგოსლავია)
11. „რომა" (იტალია) — „ბენფიკა" (პორტუგალია)
12. „პარტიზანი" (ალბანეთი)—„უნივერსიტატია კრაიოვა" (რუმინეთი)
13. „რაპიდი" (ავსტრია) — „ინტერი" (იტალია)

**შენიშვნა:** ტირაჟის მიმანიშნებელ ადგილას უნდა ჩაიწეროს „C-9". სპეცტირაჟის ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის" 37-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

### თბილისის „შევარდენის" სტადიონი

(ბ. ხმელნიცკის ქ. № 40)

9 სექტემბერი

**ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„შევარდენი-1906" (თბილისი) — „იბერია" (თბილისი)

დასაწყისი 17 საათსა და 30 წუთზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 9 სექტემბერს 12 საათიდან.

### თბილისის ავლაბრის სტადიონი

(ბოჭორმის ქ. №18)

**ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (II ლიგა, აღმოსავლეთის ზონა)

7 სექტემბერი

„მრეწავი" (თბილისი)
„დილომი" (თბილისი).

დასაწყისი 17 საათზე.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. სარალიძე, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ინდექსი 66488. [illegible] თბილისი, ლენინის ქ. 14. [illegible] ხაზარაულის ქ. 29.